სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება №01-06-02/11

ქ. თბილისი 24 მარტი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბირთვული ინჟინერიის ცენტრისა და უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისის ფაბ-ლაბის გაერთიანების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ს ვიცე-რექტორის, თამარ ლომინაძის 2026 წლის 24 მარტის MES 5 26 0000351814 სამსახურებრივი ბარათის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (23.03.2026 №5), აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-04/35 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 24 მარტის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ინოვაციურ სამეცნიერო-კვლევით გარემოს, მულტიდისციპლინური კვლევების განხორციელების ქმედითი პლატფორმის შექმნის მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ბირთვული ინჟინერიის ცენტრისა და უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისის ფაბ-ლაბის გაერთიანების საფუძველზე, შეიქმნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეული: „ბირთვული ინჟინერიისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრი“;
2. დამტკიცდეს ბირთვული ინჟინერიისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის დებულება და ერთიან საშტატო ნუსხაში შესატანი წარმოდგენილი ცვლილებები (იხ. დანართი);
3. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების

ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს;

4. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 17 მარტის №01-06-02/12 დადგენილებით დამტკიცებულ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისის დებულებიდან ამოღებულ იქნეს მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**